



**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა “კ”**



ბრძანება:ბ44. 442508310

თარიღი:24/03/2025

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო  
მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის  
გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-36 მუხლების, 126<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-1 მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ II<sup>1</sup> თავის საფუძველზე;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს შიდა კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

დ/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ვალდებულების აღების რეგისტრაციისა და ანგარიშგების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

ე/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

ვ/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო ზედამხედველობის განყოფილების მეორე რანგის განყოფილების ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული;

ზ/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

თ/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის, გამწვანებისა და ლანდშაპტური დაგეგმარების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს დახურული კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების მეორე რანგის განყოფილების ხელმძღვანელი- 1 (ერთი) ერთეული;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 5 /ხუთი/ კალენდარული დღე.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად ვებ-გვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

6. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი  
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

